ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1516304

ნომერი: AR1252272

თარიღი : 22.09.2014

გაცემის თარიღი : 29.09.2014

გაცნობის თარიღი : 09.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკ. წერეთელი , N 140 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხათუნა დურგლიშვილი პ/ნ 01011008700
- თბილისი I დოლაბაურის ქ. N 2/4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- პერგოლა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს: საპროექტო ადგილიდან გამომდინარე, რომელიც განთავსებული ქალაქგეგმარებით კარკასზე სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა/ნაგებობებს და მასზე განთავსებულ ყოველ კონკრეტულ დეტალს წარმოდგენილი სახით "პერგოლის" მოწყობა საყრდენების გამოყენებით რომელიც განთავსებულია კიბეზე სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, არსებულ ფასადთან მისადაგებული მსუბუქი კონსტრუქციით საჩრდილობელი მოეწყოს მხოლოდ ბაქანზე, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განახლებული ფოტომონტაჟი ზომებისა და მასალის მითითბით აიტვიორთოს"ფოტომონტაჟი"-ს ველში, ასევე გასათვალისწინებელი და წარმოსადგენია შემდეგი:

- საკადასტრო გეგმაზე მოინიშნოს ზუსტი განთავსების ადგილი ზომების მითითებით, რომელიც უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების ველში", (თქვენს მიერ ამჟამად ველში ატვირთული მონიშნული ადგილი არასწორია).
- ნომენკლატურაში არჩეულის ნაცვლად უნდა მიუთითოთ ნომენკლატურა "საჩრდილობლის მოწყობა"–რეკონსტრუქცია, რისთვისაც შეგიძლიათ ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.
- წარმოსადგენია ა(ა)იპ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდი "იავნანა"-ს მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ჩასატარებელი სამუშაოების შესახებ, ვინაიდან ამჟამად წარმოდგენილი მინდობილობა გაცემულია შპს "კომპანია ალბატროსი"-ს მიერ, რითაც გაურკვეველია ამ საკითხთან დაკავშირებით მისი უფლებამოსილება, ვინაიდან მთლიანად მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობა წარმოადგენს ა(ა)იპ პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდი "იავნანა"-ს საკუთრებას, ასევე მინდობილობაში მითითებულია შპს "კომპანია ალბატროსი"-ს სარეკლამო ბანერის განთავსება, რაც ურთიერთშეუსაბამობაში მოდის წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან. ვინაიდან წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაციით ხდება პერგოლის განთავსება და არა შპს "კომპანია ალბატროსი"-ს სარეკლამო ბანერის განთავსება, რომელიც ამჟამად უკვე განთავსებულია.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.